ანალიტიკური წერა

II ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

გამოცდილმა კვლევითმა ორგანიზაციამ შეისწავლა დისკრიმინაციის გამოვლენის ფორმები N ქვეყნის ერთ-ერთ ქალაქში. გამოკითხვისას კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ ცხოვრებაში ერთხელ მაინც განიცადეს დისკრიმინაცია. კვლევის მონაწილეთა ნაწილმა ასევე აღინიშნა, რომ დისკრიმინაცია განიცადა სამუშაო ადგილზე, მათგან: 19%-მა – სქესის ნიშნით, 35%-მა – ასაკობრივი ნიშნით, 26%-მა – გარეგნობის ნიშნით, ხოლო 23%-მა – რელიგიის ნიშნით.

ამ კვლევის შედეგები 5 წლის შემდეგ საბაკალავრო ნაშრომში გამოიყენა სტუდენტმა და დაასკვნა, რომ N ქვეყანაში, სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში, დისკრიმინაციის ფორმებს შორის ყველაზე დიდ პრობლემას ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაცია წარმოადგენს.

კრიტიკულად შეაფასეთ სტუდენტის მიერ გამოტანილი დასკვნა. ტექსტზე დაყრდნობით დაასახელეთ არსებითი არგუმენტები თქვენი აზრის დასასაბუთებლად.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

ბინაში, დახურულ სივრცეში, შინაური ცხოველის ყოლა არ არის მიზანშეწონილი, რადგან ეს ადამიანის ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.